საქართველოს მთავრობის

დადგენილება №475

2020 წლის 30 ივლისი

ქ. თბილისი

„რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის №152 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის №152 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 07/04/2015, 300160070.10.003.018537) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. ბაზარზე განთავსებული რძის ნაწარმის ეტიკეტზე, რომელიც წარმოებულია ნედლი რძის გამოყენებით, ხედვის ძირითად არეალში, სურსათის დასახელებასთან ერთად, უნდა იყოს მკვეთრი მინიშნება და მკაფიოდ უნდა იკითხებოდეს – „დამზადებულია ნედლი რძისაგან“.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის პირველი ნოემბრიდან.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**